ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(2) **1.** მოსწავლემ დაწერა: *სტუმრებმა მადლობა მოუხადეს ახალგაზრდებს გულითადი დახვედრისათვის და ხეობა დატოვეს.*

მიუთითეთ მას, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.
განუმარტეთ მოსწავლეს, რა იწვევს ამგვარ ხარვეზს.

(2) **2.** მოსწავლემ დაწერა: *ვაჟთა გუნდს საჩუქრად გადასცეს კრებული, რომელშიც 300 ქართულ-კახური საგალობელია შესული.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *ეს რომანი პირველად ჟურნალი „ცისკრის“ მეშვეობით გაიცნო საზოგადოებამ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *არასწორად ჩატარებულმა რეფორმამ გლეხი მიწას მოწყვიტა და აიძულა, რომ ქალაქში ეცადა ბედი.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *ბუნებამ თითქოს გამოარჩია და დასაჯა სწორედ ის, რომელმაც ასეთი ზიანი მიაყენა ტყეს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *ასე უსიხარულოდ და უღიმღამოდ გადიოდა დრო, დღეს დღე მისდევდა, კვირას კვირა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(11) **7.** წაიკითხეთ ნაწყვეტი ოთარ ჭილაძის ინტერვიუდან:

[კომპიუტერი], ცივილიზაციის ეს ერთ-ერთი უდიადესი მონაპოვარი, ისევ და ისევ ადამიანის ამქვეყნიური არსებობის გასაიოლებლად არის შექმნილი, როგორც თავის დროზე, ვთქვათ, კომპასი შეიქმნა, ელექტრონათურა, მუდმივი საწერი კალამი, კალკულატორი და ასე შემდეგ უსასრულოდ...

ცივილიზაცია, თავისი არსით, დამპყრობელია. მისთვის არც საზღვრები არსებობს, არც გამონაკლისი – მიმსახურე და დამემონე – აი, მისი ლოზუნგი. კომპიუტერითაც ამ ლოზუნგს ამკვიდრებს ჩვენს შეგნებაში. ერთადერთი, ვისაც თავად ემონება, კულტურაა. ამიტომაც, რაც უფრო კულტურულია ადამიანი, მით უფრო მეტ სიკეთეს გამორჩება ცივილიზაციას. ჩვენი ხსნაც ისევ და ისევ კულტურაა. კულტურა გვაძლევს სახესა და სახელს, რითაც გამოგვარჩევს სხვებისაგან და, იმავე დროს, სისხლხორციელად გვაკავშირებს ყველასთან, ვისაც არა მარტო შექმნა, არამედ სხვისი შექმნილის დანახვა და დაფასებაც შეუძლია.

(2) **I.** ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(3) **II.** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს.

(2) **III.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ოთარ ჭილაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(3) **IV.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **8.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. შეაფასეთ ნამუშევარი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაწერეთ შესაბამისი ქულები. თქვენი შეფასება დაასაბუთეთ შემდეგნაირად: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყველა შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, პუნქტუაციურს, სინტაქსურსა თუ სტილისტიკურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტიკური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

ამბიცია არის თვისება, რომელიც ადამიანს წარმატებისაკენ უბიძგებს, თუ გადაჭარბებული წარმოდგენაა საკუთარ შესაძლებლობებზე?

ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ.

მოსწავლის ნამუშევარი:

სიტყვა „ამბიციის“ მნიშვნელობა საზოგადოებას ძალიან ცუდად ესმის. ჩემი აზრით, ყველა ადამიანი უნდა იყოს ამბიციური, რადგან ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიოს. უბრალოდ ძალიან ბევრი შუღლიანი ადამიანია გარშემო, რომელსაც შეუძლია შენი თვითშეფასება ნულამდე დაიყვანოს. ამბიციურობა თვითშეფასების ამაღლებასა და წარმატების მიღწევაში გვეხმარება. ეს თვისება საკუთარი თავის რეალიზებისათვის არის საჭირო.

აინშტაინს სკოლაში მასწავლებლები უბრალოდ „შტერ მოსწავლედ“ მოიხსენიებდნენ. ამ დამცირების მიუხედავად, ის საკმაოდ ამბიციური იყო. მისი მიზანი, რომ შეექმნა რაღაც ღირებული, ასრულდა. დღესდღეობით მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ გენიოსი. მისი წარმატებისაკენ გაკვალული გზა ამბიციებისა და მაღალი თვითშეფასების შედეგია და სულაც არ იყო ეს გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე.

საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ ამბიცია გადაჭარბებული წარმოდგენაა საკუთარ შესაძლებლობებში, მინდა ვუთხრა, უმოქმედობით და საკუთარი თავის არ დაფასებით უბრალოდ არაფრის მიღწევაა შესაძლებელი. უმოქმედობა დამღუპველია. ამაზე გვესაუბრება ილია ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებში „მგზავრის წერილებში“. მისი აზრით, ვერც ქვეყანა იქნება განვითარებული და ვერც პიროვნება რეალიზებული, წარმატებული ფეხის ფეხზე გადადებით.

ჩემის ღრმა რწმენით, ამბიცია თვისებაა, რაც ყველას თან უნდა სდევდეს. არანაირი გადაჭარბებული წარმოდგენები არ არსებობს. იმედი მაქვს, რომ ადამიანები ამ პრობლემას კარგად გაიაზრებენ და შეეცდებიან ყველა მიზანი, თუნდაც რთულად განსახორციელებელი ბოლომდე მიიყვანონ და არ უგდონ იმათ ყური, ვინც ქილიკობს და გადაჭარბებულ წარმოდგენებში დებს ბრალს.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **9. იაკობ ხუცესის ნაწარმოების განხილვის დროს მოსწავლემ დაიმოწმა ვარსქენის მიერ ხუცესებისთვის ნათქვამი:** *„აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: შენ ჩემი ხატი დაამხუ...“* **და იკითხა, თუ კონკრეტულად რის თქმა სურდა ვარსქენს სიტყვებით** – *„ჩემი ხატი დაამხუ“?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) ჩემი ოჯახის ღირსება ხელყავი.
ბ) ჩემი ოჯახის ხატები შეურაცხყავი.
გ) ჩემი რწმენა აბუჩად აიგდე.
დ) ჩემი შვილების ბედზე არ იფიქრე.

(1) **10. იოვანე საბანისძის ნაწარმოების მიხედვით, რა იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ნერსე ერისთავმა ხაზართა მეფეს აფხაზეთში გამგზავრების უფლება სთხოვა?**

ა) აფხაზეთი თბილისიდან შორს იყო და სარკინოზებს ნერსეს ხელში ჩაგდება და დასჯა გაუჭირდებოდათ.
ბ) აფხაზეთში სარკინოზთა ბატონობა არ ვრცელდებოდა და, ამდენად, ნერსეს იქ საფრთხე არ ემუქრებოდა.
გ) ნერსე აბოზე ზრუნავდა და აფხაზეთში, სადაც სარკინოზები არ ბატონობდნენ, მას უკეთ დაიცავდა.
დ) ნერსეს ცოლ-შვილი ადრევე აფხაზეთში ჰყავდა გაგზავნილი და, პირველ რიგში, მათთან ყოფნა სურდა.

(1) **11. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, რას ნიშნავს *„საღმრთო შური“*, რომელმაც თეოდორესა და ქრისტეფორეს მონასტრის აშენება გადააწყვეტინა?**

ა) მიბაძვის სურვილს.

ბ) სულის ცხონებაზე ზრუნვას.

გ) ღვთის მსახურებას.

დ) ღვთის ნებით მოქმედებას.

(1) **12. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა: რატომ აარიდა თავი ტარიელმა როსტევან მეფესთან შებმას?**

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) არ შეურაცხყო ღვთივკურთხეული როსტევანის მეფური ღირსება.
ბ) ივარაუდა, რომ მეფის მკვლელობა არ შერჩებოდა.
გ) მეფის მოკვლა მთლიანად არაბეთის სახელმწიფოს გადაჰკიდებდა.
დ) ჩათვალა, მსხვერპლი საკმარისიაო და იქაურობას გაეცალა.

(1) **13. სულხან-საბა ორბელიანის კრებულის „სიბრძნე სიცრუისა“ მთავარი მიზანდასახულობა არის:**

ა) ადამიანის მორალური და ზნეობრივი სრულყოფილების წარმოჩენა.

ბ) ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ძალების ხელშეწყობა.

გ) სხეულის გაკაჟებისა და ფიზიკური წრთობის უპირატესობის ჩვენება.

დ) ქვეყანაში სოციალური პრობლემების მოგვარების გზის განსაზღვრა.

(1) **14. დავით გურამიშვილი ასე აფასებს შოთა რუსთაველის მოღვაწეობას:**

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა.
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა...“

რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: *„ორგზითვე ნაყოფს მისცემდა...“?*

ა) „ვეფხისტყაოსანი“ ერთდროულად დასავლური და აღმოსავლური კულტურების მონაპოვართა გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.

ბ) „ვეფხისტყაოსნის“ საშუალებით შესაძლებელია, რომ საღვთო სიბრძნესა და მიწიერ სრულყოფილებას ერთდროულად ეზიარო.

გ) შოთა რუსთაველის პოემა იგავური ნაწარმოებია, რომელშიც რეალურ და წარმოსახვით სამყაროთა გამიჯვნა შეუძლებელია.

დ) შოთა რუსთაველის პოემაში წამოჭრილი პრობლემები ერთნაირად გასაგებია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკითხველისთვის.

(1) **15. ევროპული რომანტიზმისთვის დამახასიათებელი რომელი ასპექტი არის გამოკვეთილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“?**

ა) განმანათლებლობისა და რაციონალიზმის კრიტიკული შეფასება.
ბ) კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაზე უარყოფითი რეაქციის გამოხატვა.
გ) ხალხური სიტყვიერებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამომჟღავნება.
დ) ხელოვნების წყაროდ რელიგიისა და ფილოსოფიის გამოცხადება.

(1) **16. გრიგოლ ორბელიანი წერს ქართველებზე:** *„ერი – გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა...“*, **ხოლო ილია ჭავჭავაძე კი – :** *„მცირე, დიდი – ყველა ფლიდი, ცულლუტი და მანკიერი“.* **მოსწავლეს აინტერესებს, თუ რა შეიძლება იყოს ასეთი რადიკალურად განსხვავებული შეფასებების მიზეზი.**

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) გრიგოლ ორბელიანი, როგორც რომანტიკოსი პოეტი, წარსულს მეტისმეტად აიდეალებდა, ხოლო რეალისტ ილია ჭავჭავაძის კრიტიკის მიზანი უმოქმედო ერის გამოფხიზლება იყო.
ბ) ილია ჭავჭავაძის ლექსისგან განსხვავებით, „სადღეგრძელო“ სახოტბო პოეზიის ნიმუშია, რომლის შექმნისას ავტორი ვალდებული იყო ამ ჟანრის მახასიათებლები გაეთვალისწინებინა.
გ) ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ მხატვრული ანტითეზაა, რადგან ავტორთა პიროვნული დაპირისპირების ანარეკლია.
დ) ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, გრიგოლ ორბელიანი ნაკლებად ადევნებდა თვალს ისტორიული მოვლენების განვითარებას და ამიტომ მისი შეფასებები სუბიექტური იყო.

(1) **17. აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მიხედვით, რა მიზანი აქვს ბათუს, როცა საფარ-ბეგს ეუბნება:** „შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა...“?

ა) მიახვედროს ძუძუმტე, რომ ის პატივმოყვარეობის გამო უკადრისად იქცევა.
ბ) მოუწონოს სტუმარს, რომ საყვარელი ქალის გამო თავს საფრთხეში იგდებს.
გ) შეეცადოს, ისე დაეხმაროს სტუმარს, რომ შეურაცხყოფილი არ დატოვოს.
დ) ჭკუა დაარიგოს ძუძუმტეს, რათა მან წინდაუხედავი ნაბიჯი არ გადადგას.

(1) **18. გრიგოლ კიკნაძე წერდა:** „ხელოვნებაში ფანტასტიკურს იშვიათად შეუძენია დამაჯერებლობის ისეთი ხარისხი, როგორსაც მან ვაჟა-ფშაველას შედევრებში მიაღწია“.

რომელი ეპიზოდი გამოგადგებათ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად?

ა) ალუდას მუცალთან დაპირისპირება.
ბ) ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვა.
გ) ლუხუმის გამოჯანმრთელება.
დ) მინდიას აღსასრული.

(1) **19. ალექსანდრე ყაზბეგი იონა მეუნარგიას სწერდა:** „გამიშვით სხვაგან; იქნებ იქაც სადმე შევხვდე ელგუჯას ან კიდევ მის პროტოტიპს, აწმყო სავაგლახ-სატირალის წარმომადგენელთ“.

რის სიმბოლოდ მოიაზრებდა ავტორი ელგუჯას?

ა) ბედნიერი მომავლისა და მარადიული სიყვარულის.
ბ) ნების სიმტკიცისა და ზნეობრივი სიმაღლის.
გ) პიროვნული სიძლიერისა და ძალაუფლების წყურვილის.
დ) ძველი ცხოვრების უარყოფისა და პროგრესის.

(1) **20. რომელი მოდერნისტული მიმართულების გავლენა იგრძნობა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში?**

ა) ექსპრესიონიზმის.
ბ) იმპრესიონიზმის.
გ) სიმბოლიზმის.
დ) ფუტურიზმის.

(1) **21. იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად მიჩნეულია:**

ა) აქტიური რევოლუციური სულისკვეთების პროპაგანდა.
ბ) გარემომცველი ბუნების „იდუმალი ენის“ წვდომა.
გ) ქალაქური ყოფის კოლორიტული სურათების შექმნა.
დ) ქართული სოფლის იდილიური გარემოს აღწერა.

(1) **22. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა: რა იყო მიზეზი გიორგი პირველის ასეთი მკვეთრი დაპირისპირებისა ბიზანტიის იმპერიასთან?**

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) ბიზანტიის კეისარი თბილისის ამირას ფარული მოკავშირე იყო.
ბ) კონფლიქტი ბასიანისა და არზრუმის სადავო მიწებს უკავშირდებოდა.
გ) უთანხმოების მიზეზი ორი ქვეყნის რელიგიური დაპირისპირება გახდა.
დ) ქართველი მეფის ვაჟი ბიზანტიის კეისარს დატყვევებული ჰყავდა.

(1) **23. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგის“ შესწავლის დროს მოსწავლე დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რის გამო მიუსაჯა ახალმა ბელადმა იგის** *„დიდი დაძინების ქარაფზე“* **ასვლა?**

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) იგი დაძაბუნდა და აღარც კეტის ტრიალი შეეძლო და აღარც ნადირის დევნა.

ბ) იგი დამარცხებული ბელადის თანამოაზრე იყო და მის კვალს უნდა გაჰყოლოდა.

გ) იგიმ ახალი ბელადის გამოსახულების თავისი „სხეულიდან გამოყვანა“ შეძლო.

დ) იგიმ ახალი ბელადისაგან თანამოძმეთა წელში გამართვის უფლება მოითხოვა.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „თავსაფრიანი დედაკაცი“:

ბავშვები დაზარდა.
ასწავლა ათასჯერ მეტი, ვიდრე შეეძლო.
ერთი ვაჟი მოანგარიშეა კოოპერატივში.
მეორე სასამართლოს მოხელეა...
დააცოლშვილა ორივე.
ჩამოისიძა სოფლის მასწავლებელი.
წელში გახრილი, ყავარჯენით ხელში გადადიოდა ერთისგან მეორესთან.
არსად იყო ზედმეტ სტუმრათ:
ბავშვების მოვლა, ჭუკის წამალი.
მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვალებით მოქსოვა წინდები, მიუტანა ბავშვს.
ფეხი არ ჩაეტია.
– გაიხადე, ბები, ამას შენ ძამიას წაუღებ, შენ კი სხვას მოგიქსოვ.
ბავშვის ტირილი.
დედამ სთხოვა:
– მიეცი, სულ ერთია, ოღონდ გაჩუმდეს...
– რათა, შვილო, ამას კოწიას წაუღებ... ბავშვს ნუ გაანებივრებ...

ბავშვი უფრო ტირის.
– რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო!.. ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?
წინდები ხელთ გავარდა.
სიტყვა არ ამოუღია.
შეისწორა თავსაფარი.
ქალიშვილმა შეამჩნია ქცევა და კიდევ დაუმატა:
– ტყუილს ვამბობ თუ?
ქალი ადგა, კალთები დაიბერტყა.
ბავშვი არ ცხრებოდა.
კაპასი შვილი:
– ნუ ტირი, ნუ ტირი, უკეთესს გიყიდი, რომ ბებიამ არ დაგამადლოს.
ქალი წავიდა უმიზნოთ; შემოუარა სახლს, რომელსაც შეალია თვალის ჩინი, სიცოცხლის ჟინი; ჩაჯდა ბოსტანში.
არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:
„შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „საღირალი პატივი“.
გადავიდა მეზობლებში.
– რა დაგემართა, ბეჩა, სახე სახეს არ გიგავს?
– არაფერი, ჩემო ფოტინე, დამსიცხა უსათუოდ.
დაბრუნდა შინ.
ჭუკებს ჯამით დაუდგა ცომნარევი ჭინჭარი.
მიწვა.

გრძნობს თავის სიმძიმეს, ტანის სიმჩატეს.

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“,

„მოიმადლიერო“ (თუ „მოინადირო“?..),

„საღირალი პატივი“...

და მოულოდნელათ მოკვეთილი, დასაბუთებული გადაწყვეტილება:

„აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის; ვარ სრულიად ზედმეტი... დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი“...

და გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა, ერთად ზანდუკში ჩაალაგა ყოველივე ხელსადები, ფასიანი, გამოსადეგი და კონკებში გახვეული, თითქმის საცვლების ამარა ჩუმათ გამოვიდა ნაჭირნახულევ ქოხიდან.

თითქოს შემთხვევით ჩაუარა ქმრის საფლავს, დიდხანს არ შეჩერებულა, ერთი კი მიუჯდა, ხელი გადაუსვა ბალახში მიმალულ ქვას და მკაცრათ უთხრა:

– „ჰო, მოვალ, მოვალ... მოვალ, ჩემო ფილიპე“.

შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის დაკარგვა: ერთს მეორესთან ეგონა.

გაიგეს – შეძრწუნდენ, შერცხვათ: „მოგვეჭრა თავი სოფელ-ქვეყანაში... რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო?!“

უნდოდათ საძებრათ წასვლა – ეძვირათ; უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება – „უარესათ მოგვეჭრება თავიო“.

ასე იცდიდენ.

დედას გულმა უგრძნო: „შვილები დამეჩაგრება, სახელი გაუტყდებათ“ და ჩამოთხოვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაკარნახევი, სხვისი დაწერილი, ბარათი გაგზავნა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი, ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ, ჩემზე ნუ სწუხართ. მშვიდობით სამუდამოთ“.

ეს იყო თავსაფრიანი ქალის ერთი იშვიათი სიცრუეთაგანი.

ბარათი შესაფერისად გრძელი იყო.

შვილები დაწყნარდენ, გაუხარდათ, სხვებსაც აჩვენებდენ თავის გასამართლებლათ. კეთილსინდისიერათ გაიყვეს მცირე მემკვიდრეობა: რამდენიმე ვერცხლის ფული, აბრეშუმის თავსაფარი, ძვლისტარიანი ხანჯალი და სხვა.

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!

(